ხაშურის მოამბე

№15 (46) 18 აპრილი, ორშაბათი, 2016 წელი

ეჰ, მიშიოკ, მიშიოკ, შენმა „მასტერაომ“ უკვე, „ჩეიარა“, ეგ ზღაპრები ახლა მანდ, უკრაინაში, ბავშვებს მოუყევი

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ისეთი ამბებია საქართველოში ამტყდარი, დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ჩიტი, მგელი თუ აფთარი ყველა ამაზე საუბრობს. ასეთი „საინტერესო“ თემა ნახა და შეიძლებოდა მასზე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს „რეჩი“ არ მოერტყა? მოარტყა და მერე როგორი! ღრმად ვარ დარწმუნებული, თვითონ რომაა დარწმუნებული, რომ პოლიტიკური მჭერმეტყველების კიდევ ერთი შედევრი გაისროლა. მოვუსმინოთ მის განცხადებას: „პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ამგვარი რამ უპრეცედენტოა საქართველოსთვის. არასოდეს, არც ერთი ხელისუფლების დროს, მსგავსი რამ საქართველოში არ მომხდარა.

არასოდეს, ქართული ოცნების მმართველობამდე, არ გამოქვეყნებულა ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და არ მომხდარა ამის გამოყენება პოლიტიკური შანტაჟისა და ანგარიშსწორებისათვის. ეს არცაა გასაკვრი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული ოცნება და, განსაკუთრებით, მისი ლიდერი ივანიშვილი, იმთავითვე ამ მეთოდს იყენებდნენ პოლიტიკურ ბრძოლაში. ამგვარად მოვიდა ქართული ოცნება ხელისუფლებაში. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მთლიანად გადაიბარა და დრემდე აგრძელებს იმ დამნაშავეების გამოყენებას, რომლებიც, ჩემი უღრმესი მწუხარების მიუხედავად (წუხს კაცი, რა ქნას მეტი? გ.გ.), როგორც ჩანს, თავის დროზე ჩვენს სპეცსამსახურებში მსახურობდნენ. (ხედავთ, „როგორც ჩანსო“. არ იცოდა და მოკალით თუ გინდა. გ.გ.). თავისი დანაშაულებრივი ქმედებებით ამ ადამიანებმა უმძიმესი დარტყმის ქვეშ დააყენეს მთელი ქვეყანა, განსაკუთრებით კი, ქართული ძალოვანი სტრუქტურები. მათ მძიმე ზიანი მიაყენეს მთლიანად მაშინდელ ხელისუფლებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პირადად მეც. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ამ დამნაშავეებსაც არ მოსვლიათ თავში აზრად პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება. ჩემთვის და ყველა ჩემი თანაგუნდელისათვის, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა აბსოლუტური ღირებულებაა და მისი ხელმყოფი ჩვენს პირად მტრად მიგვაჩნია“.

ა, კაცი, ა, მიწაზე მოსიარულე წმინდანი! თავიდან რომ გაუგია, თურმე, საქართველოში ფარულ ჩანაწერებს აკეთებენო, არცკი დაუჯერებია. ეს როგორო, ეს საიდანო?! ჩემი ანგელოზი მერაბიშვილი, რომ ამას არ იკადრებდა, ფაქტია, პატიოსნების ეტალონები ძმები ახალაიები ფიქრშიც რომ არ გაივლებდნენ ამისთანა სიბინძურეს, ესეც ჭეშმარიტებაა, უგულავას თუ ბოკერიას ცხოვრებაში ჭიანჭველისთვის არ დაუდგამთ ფეხი და ამას როგორ იკადრებდნენო? არა, ისევ ივანიშვილი აკეთებდა ამასო, მისულა საბოლოო დასკვნამდე. რატომაც არა? ივანიშვილმა შეკრიბა საჩხერლები და ჭორვილელები, ასე, ათასი კაცი, თითოეულს დაავალა 25-30 კომპრომატის გადაღება და უთხრა, თუ არ შეასრულებთ ამ დავალებას, თქვენი ფეხი იმერეთში კი არა, საქართველოშიც აღარ იყოსო და ასე შეიქმნა 28 ათასი ფაილი.

ერთი ბანალური ჭეშმარიტება ავიწყდება ჩვენს „დემოკრატიის შუქურას“. თუ ქვეყნის პრეზიდენტი ხარ, შენს გარშემო ასეთი ამბები ხდება და შენ საქმის კურსში არ ხარ, მაშინ, პრეზიდენტი კი არა, ლობიო ყოფილხარ. ხოლო თუ იცი, მაშინ ლობიოს რომელიღაც ქვესახეობა. (აქ, ამ კონტექსტს, უფრო „მძიმე“ უარყოფითი ეპითეტი მეტად მოუხდებოდა, რომელიც ზუსტად შეესაბამება „ყოფილს“, მაგრამ მკითხველს როგორ ვაკადრო ასეთი სიტყვების თუნდაც წაკითხვა?!)

არადა, როგორ არ უნდა გაახსენო ამ მართლა... (ამ სამ წერტილშიც რაც გინდა, ის იგულისხმე, მკითხველო), თავისივე ნათქვამი 2003 წელს, როდესაც იგი ოპოზიციაში იმყოფებოდა: „როცა რიგითი პოლიციელი კანონს არღვევს და ამას მთელი ქვეყანა იგებს, ხოლო მინისტრი ზომებს არ იღებს, მაშინ ის ისეთივე ნაძირალაა, როგორც ის პოლიციელი! და როცა მინისტრი ამას არ აკეთებს და პრეზიდენტი, ამის გამო , მას არ ათავისუფლებს პოსტიდან – მაშინ პრეზიდენტიც ნაძირალაა!“ აი, ეს კი მართლა ჭეშმარიტებაა!

მთავარი მაინც განცხადების ბოლოა: „ამგვარი შეცდომა აღარასოდეს არ უნდა დაუშვას დემოკრატიულმა ხელისუფლებამ. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ამ ხელისუფლების დროს მოხდა ამ ვიდეოების შექმნა, თუ ჩვენი მმართველობის დროს – ამ სიბინძურის ავტორები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. თუმცა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, არსებობს პოლიტიკური პასუხისმგებლობაც, ჩემი ღრმა რწმენით, ისინი, ვინც ასგვარი რამ თუნდაც საკუთარი უყურადღებობით დაუშვა საკუთარ უწყებაში, აღარასოდეს უნდა დაბრუდნენ ქართულ პოლიტიკაში. მათი ადგილი არ არის ახალი საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი და რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეთ ქვეყნის წინაშე“. ა, მგონი, მოვიდა ცოტა აზრზე! მაგას გეუბნება, მიშიოკ, დღეს შენც და შენს ნაციონალურ მოძრაობასაც მთელი საქართველო. აღარ უნდა მობრუნდეთ აღარასოდეს და ნურც იმის იმედი გექნებათ, რომ თქვენს მიერ ჩადენილი საშინელებები ოდესმე დაავიწყდეს ქართველ ხალხს.

გ. გოგოლაძე

საჩუქრები - ბავშვებს

პლასტელინები, ფანქრები, წყლის საღებავები, საძერწი დაფები, თვალსაჩინოებები, ფერადი ფურცლები, რვეულები, საწერი კალმები, ფერადი ნახატები... აი, ის საჩუქრები, რომელიც მუნიციპალიტეტის ცამეტივე ბაღს გადაეცა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ეს საჩუქრები მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორმა დავით ნოზაძემ და გაერთიანების თანამშრომლებმა გადასცეს. ამ საჩუქრების ღირებულებამ 5 ათას ლარამდე შეადგინა, რაც მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე საბავშვო ბაღები ყველა

საჭირო და აუცილებელი მედიკამენტითაც მომარაგდა. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ეს აქცია ერთჯერადი არ არის და შემოდგომის დასაწყისში იგი უფრო მასშტაბურ ხასიათს შეიძენს.

პატივი მიაგეს 9 აპრილის გმირებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა, 9 აპრილს გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგეს და გვიან ღამით, მოქალაქეებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მსვლელობაში, რომელიც ხაშურში, 9 აპრილის მემორიალის მიმართულებით გაიმართა, შემდეგ კი ყვავილებით შეამკეს მემორიალი. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინამდებარე ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო სამხედრო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რის შედეგადაც 21 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა ქალები, მათ შორის იყვნენ სკოლის მოსწავლეებიც. დაღუპულთა გარდა იყვნენ დაჭრილები, დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა 2000-მდე მოქალაქე. 1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად ორიწლისთავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ამდენად, 9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე. ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს.

დაინთო უამრავი სანთელი და კვლავაც ისმოდა “ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობა, ორგანიზატორი კი – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური იყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება №1505

07 / აპრილი / 2016 წ.
ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის 412 დადგენილების საფუძველზე და “ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის 62 დადგენილების შესაბამისად ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი 1 თან ერთვის)

2. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ 18 წლის ასაკიდან,რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ ამ ბრძანების დანართი 1 განსაზღვრულ და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 აპრილის 1501 ბრძანებით დამტკიცებულ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

3. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განაცხადი წარადგინოს 2016 წლის 8 აპრილიდან 2016 წლის 17 აპრილის ჩათვლით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით არაუმეტეს ხუთ ვაკანსიაზე, სადაც უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები

ა) განათლების (უმაღლესი განათლების) დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) „სამოტივაციო წერილის“ ბლოკში სამოტივაციო წერილი.

გ) „დამატებითი დოკუმენტაციის „ბლოკში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

დ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან - სტაჟის მითითებით)

ე) ცნობა ტესტირების ჩაბარების შესახებ

4. კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:

ა) განცხადების გადარჩევა;

ბ) ტესტირება;

გ) გასაუბრება.

5. ტესტირების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ კონკურსანტს მოეთხოვება სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის 73/სა ბრძანებით დამტკიცებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის თემატიკის ცოდნა.

6. კონკურსის მეორე ეტაპზე გადავა მხოლოდ ის კანდიდატი,რომლის განაცხადიც აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

7. კონკურსის მესამე ეტაპზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას და დააგროვებენ:

გამგეობის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის კანდიდატები - ქულათა საერთო რაოდენობის 60%, კერძოდ 60 კითხვიდან არანაკლებ 36 სწორ პასუხს;

გამგეობის სპეციალისტის თანამდებობის კანდიდატები ქულათა საერთო რაოდენობის 55%, კერძოდ 60 კითხვიდან არანაკლებ 33 სწორ პასუხს;

8. შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან დაკავშირება მოხდება მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

9. ტესტირება ჩატარდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ. ტესტირებისა და გასაუბრების თარიღები კონკურსანტებს ეცნობებთ დამატებით განაცხადში მითითებულ ტელეფონისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

10. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, განაცხადის წარდგენისვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

11. საკონკურსო - საატესტაციო და საპრეტენზიო კომისიების მუშაობა წარიმართოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის 62 დადგენილების “ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად;

12. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე, გაზეთ „ხაშურის მოამბე“-ში და განთავსდეს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებულ საინფორმაციო დაფაზე;

13. ხაშურის თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. 2, საკონტაქტო პირი თამარ გოგალაძე ტელ: 595 49 09 37;

14. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

15. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი

N	სამსახურის დასახელება	განყოფილება	პოზიცია	შტატის რაოდენობა
1	ადმინისტრაციული სამსახური	საქმისწარმოების	სპეციალისტი	1
		საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო	სპეციალისტი	1
		შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის	მთავარი სპეციალისტი	1
			მთავარი სპეციალისტი	
				2
		გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის		
			სპეციალისტი	
3	ეკონომიკური განვითარების სამსახური	სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობის რეგულირების	სპეციალისტი	1
4	შიდა აუდიტის სამსახური	–	მთავარი სპეციალისტი	1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება №28

2016 წლის 30 მარტი,
ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ 29-ე მუხლის და საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, ვბრძანებ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად – განცხადების გადარჩევის, სავალდებულო ტესტირების და გასაუბრების ფორმით.

3. ტესტირების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ კონკურსანტს მოეთხოვება სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის 73/სა ბრძანებით დამტკიცებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის თემატიკის ცოდნა.

4. შერჩევის მეორე ეტაპზე გადავა მხოლოდ ის კანდიდატი რომლის განაცხადიც აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

5. კონკურსის მესამე ეტაპზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები,რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას ანუ დააგროვებენ ქულათა 65 პროცენტს.

6. შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან დაკავშირება მოხდება მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

7. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, განაცხადის წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

8. საპრეტენზიო კომისია მუშაობას წარმართავს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების, „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. 15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

- ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანები არ ვცხოვრობთ -

უპატრონო ძაღლები - პრობლემის გადაჭრის გზები

ამ სამყაროში მარტო ჩვენ არ ვცხოვრობთ და მხოლოდ ადამიანთა ხელისუფლება არაა უზენაესი. უბრალოდ, მეტი გონებრივი უპირატესობები გვაქვს სხვა ცოცხალ არსებებთან შედარებით, რომელთა არსებობაც ჩვენივე სიამოვნების თუ სხვადასხვა მიზნებისთვის მივმართეთ. ძაღლებზე მოგახსენებთ, ადამიანმა რომ თავისი მეგობარი უწოდა ერთგულებით გამორჩეულს. ესეც მაშინ, როცა მასთან ახლოს, ერთ სახლსა თუ ეზოში თანაცხოვრობდა. მაგრამ იდეალურობისგან დაშორებულ სამყაროს, სახლს და ეზოს გარეთ დარჩენილი შინაური ცხოველებიც ჰყავს მზრუნველობამოკლებულნი, თავიანთი მიუსაფარი ბუნებით, საფრთხეს რომ უქმნიან ადამიანებს. არც ადრე და ახლა მითუმეტეს, არ მომწონს ეპითეტი "მაწანწალა", არც ერთ კონტექსტში და არაფერთან მიმართებაში. რადგან სამყაროს(როგორც შევთანხმდით) ნაკლოვანებები აქვს, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები მზრუნველი ხელი და თვალი ერგო. ქუჩაში დარჩენილებს გამრავლების უფრო ძლიერი

კოდი აღმოაჩნდათ და დღეს უსახლკარო ძაღლები არათუ იშვიათობას, ჩვენი ქალაქის საფრთხენარევ სამკაულადაც იქცა. იმატა წუხილმა და უკმაყოფილებამ, რომ ცენტრალური ქუჩები და პერიფერიები გაივსო ძაღლებით, რომ დაკბენილი მოსახლეობის რაოდენობამ იმატა, რომ ადგილობრივი ხელისულება არაფერს აკეთებს პრობლემის მოსაგვარებლად. არ ვმალავთ ფაქტებს, რომლებზეც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მზეზე მშიერმუცელ მიფიცხებული ძაღლების რაოდენობაც მეტყველებს. არც მოსახლეობის შიშია საფუძველმოკლებული. თუმცა, ადგილობრივ ხელისუფლებას უმოქმედობაში ვერ დავადანაშაულებთ. აქამდე ამ პრობლემაზე პასუხისმგებლობა ა(ა)იპ "სავანეს" ჰქონდა, თუმცა, პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს ახალი განყოფილების შექმნა, რომელიც უსახლკარო ძაღლებისგან მოსახლეობის დაცვაზე იქნებოდა ორიენტირებული. და რადგან თავშესაფრის რჩენა საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, პრობლემასთან ბრძოლის უფრო ჰუმანურ მეთოდს მიმართეს, რომელიც, ერთის მხრივ, იცავს მოსახლეობას ცოფისა და სხვა ინფექციებისგან, მეორეს მხრივ კი ძაღლის სიცოცხლეს. ეს ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია არსებული მდგომარეობიდან, თუმცა ქალაქში ძაღლების რაოდენობა არ შემცირებულა. ამ პრობლემატურ თემაზე სასაუბროდ ა(ა)იპ "სავანეს" ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის განყოფილების უფროსს დიმიტრი ზავარინს ვესტუმრეთ:

- ბატონო დიმიტრი, ა(ა)იპ "სავანე" სწორედ იგივე ფუნქციას, რასაც ახლა თქვენი განყოფილება. რამ გამოიწვია მისი შექმნა და რამდენი ხანია ახორციელებთ თქვენ საქმიანობას?

–იმის უარყოფა, რომ უსახლკარო ძაღლები არ გვყავს და ეს პრობლემა არ დგას, არ იქნებოდა გამართლებული. სწორედ ამ ძაღლების რაოდენობამ და მოსახლეობის შიშმა გადაგვაწყვეტინა ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის განყოფლების ჩამოყალიბება. გასულ წელს ერთ-ერთ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გაყავდა ძაღლები ქალაქიდან, ამის შემდეგ ამ ძაღლების ბედი არ ვიცოდით. შემდეგ facebook-ზე გამოჩნდა კადრები, თითქოს ჩვენ სადისტურად ვექცეოდით და ვუსწორდებოდით ძაღლებს. ბატონ შოთა კოპაძესთან ერთად დავიწყეთ ფიქრი, რა ფორმით მიგვეღო თავშესაფრის სტატუსი ოფიციალურად, რათა სერიოზულად მიგვეხედა ამ პრობლემისათვის. ვიყავი თბილისში. ვარკეთილში არის ძაღლთა მუნიციპალური თავშესაფარი. გავეცანი პირობებს, გავესაუბრე ხელმძღვანელობას და იმის გათვალისწინებით შევიმუშავეთ სქემა. დეკემბრიდან დავიწყეთ ლაბორატორიის მოწყობა, მიკროსკოპის, სტერილიზატორის და სხვა საჭიროების სამედიცინო ინსტრუმენტების შეძენა. ავიყვანეთ ლაბორანტი, კინოლოგები, ავაშენეთ საკარანტინო ადგილი და უკვე თებერვლიდან შევუდექით საქმიანობას. ჩვენი წლიური ბიუჯეტი 35 000 ლარით განისაზღვრება და 7 თანამშრომლისგან შედგება.

- ქუჩაში ბევრი უსახლკარო ძაღლია, რომელთა რაოდენობა ყოველდღიურად მცირდება...

–ქუჩაში ძაღლებს ჩვენ ვერ მოვსპობთ, რადგან უფლება არ გვაქვს ევთანაზიის, როცა ძაღლი ჯანმრთელია და საფრთხეს არ უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, ამის უფლებას საქართველოს კანონმდებლობა არ გვაძლევს. მხოლოდ კასტრაციის საშუალებით შეგვიძლია მათი გამრავლების შეწყვეტა.

- ყოველდღიურად ხდება ძაღლების დაჭერა ქუჩაში?

–კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით მუშა ჯგუფი გადის ქუჩაში, იჭერს ძაღლს და გადაყავთ ვოლიერებში 10 დღით, სადაც გადის სამედიცინო შემოწმებას. თუ შემოვიდა შეტყობინება ქუჩაში აგრესიული ძაღლის არსებობის თაობაზე, ნებისმიერ დროს ვახდენთ რეაგირებას, ვიჭერთ და გადაგვყავს თავშესაფარში.

- თავშესაფარში გადაყვანილი ძაღლი რა პროცედურებს გადის?

–პირველ რიგში ძაღლს ვბანთ, შემდეგ ჩვენს ლაბორატორიაში უტარდება სამედიცინო კვლევები, სისხლის ანალიზი. ივსება ისტორია, ენიჭება ნომერი, 10 დღე ვოლიერში ცხოვრობს და ვაბრუნებთ ქუჩაში.

- რამდენი ძაღლი გყავთ თავშესაფარში და რამდენხანს რჩებიან ისინი თქვენთან?

–ამჟამად 5 ძაღლი გვყავს თავშესაფარში, 25 უკვე გავუშვით ქუჩაში, რადგან ჩვენი სამსახურის ფუნქცია არ არის მათი დიდი ხნით დატოვება. შემოყვანილი ძაღლი 10 დღიან კარანტინს გადის, ხდება დაკვირვება, რათა გამოირიცხოს ცოფი. ცოფიანი ცხოველი 8-10 დღე ცხოვრობს. ძაღლის გარდაცვალების შემდეგ, იკვეთება თავი და გამოსაკვლევად იგზავნება თბილისში ლაბორატორიაში, იმისთვის, რომ გამოირიცხოს რაიონში ცოფის გავრცელების საფრთხე. თუმცა, ჩვენ ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვქონია.

-გავედი ქუჩაში, სადაც დახხლოებით 15 ძაღლია, მე, ჩვეულებრივმა მოქალაქემ, სიიდან უნდა ვიცოდე, რომ ამ ძაღლებისგან ცოფით ინფიცირების საფრთხე არ მემუქრება?

–ყველა ძაღლს, რომელიც ჩვენ თავშესაფარში გადავიყვანეთ და შესაბამისი სამედიცინო პროცედურები ჩავუტარეთ, ნომერი აქვს ყურზე მიკრული, რაც იმის მანიშნებელია, რომ რაიმე ინფექციის მატარებელი აღარაა. კბენის შემთხვევაში, დაზარებულს შეუძლია მოვიდეს ჩვენთან, ნახოს ანკეტა, სადაც აღრიცხულია ყველა ის პროცედურა, რაც გაიარა.

- ძაღლი, რომელიც იყო თქვენი თავშესაფრის ბენეფიციარი, ყველა სამედიცინო პროცედურა გაიარა, მაგრამ ისევ აგრესიულობით გამოირჩევა, ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობას თუ შეუძლია მისი მოკვლა?

–თუ აგრესიული ძაღლია, მაშინ მოსახლეობამ უნდა დაწეროს განცხადება, რამდენიმე ადამიანმა მოაწეროს ხელი. ამის შემდეგ გადმოგვყავს თავშესაფარში, კინოლოგი წერს დასკვნას და მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება მოხდეს ევთანაზია. თუ მოსახლეობა მოკლავს ასეთ ძაღლს, არსებობს გარკვეული ჯარიმები. იყო შემთხვევა, მოსახლეობამ დაგვირეკა, როცა მივედით, აგრესიული ძაღლი დაგვხვდა, გადავიყვანეთ თაშესფარში, ჩავუტარეთ პროცედურები და ძალიან ლმობიერი გახდა, რადგან ჩვენგანაც შესაბამისი დამოკიდებულება დაინახა. ძაღლები, რომლებიც ჩვენთან იყვნენ, აგრესიულობით აღარ გამოირჩევიან და იშვიათად ესხმიან თავს მოსახლეობას. ცხოველიც კი თბილ დამოკიდებულებას ითხოვს. რამდენიმე ხნის წინ, "იმედის" ტელევიზია გვყავდა სტუმრად. რეპორტაჟს აკეთებდნენ ძაღლების თავშესაფრებში არსებულ მდგომარეობაზე. რამდენიმე ქალაქის მოვლის შემდეგ, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ ჩვენთან არსებული მდგომარეობით. ბახილებით, ხალათებით და პირბადეებით შევდივართ ლაბორატორიაში. სამწუხაროა, რომ არ გვაქვს შესაძლებლობა სამუდამოდ დავიტოვოთ ასეთი ძაღლები თავშესაფარში, რადგან მათი მოვლა-პატრონობა დიდ თანხებთანაა დაკაშირებული.

- ევთანაზია რა შემთხვევაში ხდება?

–როდესაც ძაღლი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა, ან ლაბორატორიულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ სისხლში პარაზიტებია,

ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ევთანაზია. გვაქვს B კლასის ტომრები, სადაც ვათავსებთ გარდაცვლილ ძაღლს, ივსება ანკეტა და გადაგვყავს სამარხზე. ეს მეთოდი ჯერ არ გამოგვიყენებია.

- უსახლკარო ძაღლების შემცირებისთვის დაშვებულია კასტრირება?

–ძირითადად კასტრირებას ვუკეთებთ ძაღლებს, რათა ამ ფორმით შევამციროთ მათი რაოდენობა ქუჩებში. ამ ძაღლების ძირითადი მასა თავმოყრილია მაღაზიებისა და კვების ობიექტების წინ, სადაც ათასგვარი ნარჩენებია. გარდა ამისა, არ შეიძლება ძაღლის ან სხვა ცხოველის მსგავს დაწესებულებებში შეყვანა. ამისათვის, მინდა, მაღაზიებზე გამოვაკრა სანიშნეები, რომელიც ინფორმაციას მისცემს როგორც მაღაზიის, ასევე ძაღლის მეპატრონეს.

მინდა მოსახლეობას მივმართო: თუ ქუჩაში შენიშნავენ აგრესიულ ძაღლს, დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ნომერზე 551 200 206. რადგან ჩვენი სამსახურის კომპეტენციას ამ ძაღლების თავშესაფარში დატოვება არ წარმოადგენს, მოსახლეობა ცოფისა და სხვა გადამდები ინფექციებისგან მაინც იქნებიან დაცული.

თ. ჯავახიშვილი

– სპეციალისტი გვირჩევს – ცხოველთა დასნებოვნების რისკები რომ ავიცილოთ

ცხოველების დასნებოვნების რისკები წელიწადის ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, შესაბამისად, სიფრთხილე და პრევენციული ზომების მიღება, ცხოველების დაცვის მიზნით, აუცილებელია. პარაზიტულ ჭიებზე ცხოველებში სურსათის უვნებლობის სამსახურის შიდა ქართლის განყოფილების ინსპექტორს ნინო თედიაშვილს ვესაუბრეთ:

–დიქტიოკაულოზი ბალახიჭამია ცხოველების ჰელმინთოზური დაავადებაა. ჰელმინთები ძუძუმწოვარ ცხოველთა პარაზიტული ჭიებია, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ცხოველებს, სახელდობრ, იწვევენ პროდუქტიულობის შემცირებას, ზრდაში ჩამორჩენას, აღინიშნება ცხოველთა სიკვდილიანობა. გაგაცნობთ მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა რქოსანი საქონლის დიქტიოკაულოზსს.

შინაური მსხვილი რქოსანი საქონლის დიქტიოკაულოზის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს პარაზიტები – ნემატოდების ოჯახიდან. ისინი, ძირითადად, შუა და მსხვილ ბრონქებში ლოკალიზდება, იშვიათად ტრაქეებში. აღმძვრელი მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ნემატოდაა, დიქტიოკაულოზის გამავრცელებლები არიან მოზრდილი ცხოველები. გამომწვევის ლარვები მოხვდებიან რა პირის ღრუში, ახდენენ მიგრაციას, გულის, ღვიძლის, ფილტვის გავლით ხვდებიან ბრონქებში, სადაც იზრდებიან სქესობრივად სრულ სტადიამდე.

ინვაზიის მაღალი დონე აღინიშნება აგისტოს მეორე ნახევარსა და სექტემბრის დასაწყისში.

დაავადებულ ცხოველს აღენიშნება მშრალი ხველა, რომელიც შემდგომ გადადის სველ ხველაში, ცხვირის ღრუდან აღენიშნება ლორწოვანი გამონადენი, სუნთქვა ზედაპირულია და გახშირებული. დაავადების გართულების შემთხვევაში ყალიბდება ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, შეიძლება გართულდეს კატალურ-ჩირქოვანი პნევმონიითაც. დაავადებული ცხოველი სუსტია, გამხ

(დასასრული IV გვერდზე)

–ვაი-ვიში არჩევნების დღესთან დაკავშირებით–

რა კიტრიც დღეს ხარ, ის იქნები 8 ოქტომბერსაც და 20 დეკემბერსაც...

ეს ოპოზიცია, მგონი, თანდათან კარგავს ჭკუას. არა, სიმართლე გითხრათ, არც აქამდე მეგონა, რომ დიდი „ბაგაჟი“ ჰქონდათ, მაგრამ ამ არჩევნებთან დაკავშირებით მაინც ნამეტანი ამოხტნენ შარვლიდან. ღმერთო, მომკალი და, მათი ბრტყელ-ბრტყელი კივილიდან ვერაფრით გავიგე, რა შავი ჭირი ჭირს ამ 8 ოქტომბერს, რომ იმ დღეს არ შეიძლება არჩევნების ჩატარება. ჩვენო, ივნისში ხომ უნდა დავისვენოთო, ივლისშიცო, აგვისტოშიცო და მარტო სექტემბერიდა გვრჩებაო. ჯერ ეს გამაგებინა, რა ღლით ამისთანა, რომ სამი თვე თუ არ დაისვენეს, გონზე ვერ მოვლენ. მეორეც, რა მნიშვნელობა აქვს, რვაში იქნება არჩევნები თუ ოცში, ან სულაც, ნოემბერში. რა კიტრიც დღეს ხარ, ის იქნები მაშინაც, მაგრამ მთავრობამ თეთრი ახსენა და თუ „ჭეშმარიტი“ ოპოზიცია ხარ, თუ მაინცდამაინც შავს არ „მიაწვები“, ნაცრისფერი ხომ მაინც უნდა ამტკიცო?! გეფიცებით, ღრმად ვარ დარწმუნებული, არჩევნების დღედ, ვთქვათ, 8 ნოემბერი რომ გამოცხადებულიყო, ისინი აუცილებლად ატეხდნენ ხმაურს, ეს გათახსირებული მთავრობა შეგნებულად წელავს არჩევნების თარიღს, თორემ 8 ოქტომბერი აქ არ იყოო? ყველაზე ოპტიმალური თარიღი სწორედ 8 ოქტომბერი იქნებოდაო!..

დედა, დედა, რა ვუყოთ ახლა ამ საცოდავ ნაცებს? 80 პროცენტიანი გარანტირებული რეიტინგი ჰქონდათ და არჩევნების 8 ოქტომბერს დანიშვნით გაუნახევრდათ ეს რეიტინგი. არადა, ისე მოგვენატრა გადატენილი ციხეები, მერე იქ წამებები თუ გაუპატიურებები, ერთი სული გვაქვს, დროზე დაბრუნდეს ის სამოთხე. ბიზნესმენებიც ჩივიან, მოვდუნდით, სიფხიზლე დავკარგეთ, ის 9 წელი ჯობდა, როდესაც მთავრობა გვარეკეტებდა, ქონებას გვართმევდა, გვიჭერდა... მაშინ უფრო ფხიზლად ვიყავით და მეტი ენერგია გვქონდაო...

მოკლედ, როგორც სკუნსის სითხე არ იქცევა არასოდეს შანელის სუნამოდ, ისე ამათ არ ეშველებათ არაფერი და როგორც ჩემი მეზობელი ბეგლარა კალატოზი ამბობს, უმალ ბაბუამისი მობრუნდება ქერჩიდან, ვიდრე ესენი მიბრუნდებიან ხელისუფლებაში (ფუი, ეშმაკს, ჯვარი აქაურობას!).

გ. გოგოლაძე

ძლიერი სოფელი ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია

რეგიონული განვითარება და ძლიერი სოფელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის განვითარებისა და სტაბილურობისათვის. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ საქართველოს, ამ მხრივ, უდიდესი პოტენციალი აქვს. შესაბამისად აყვავებული სოფელი შესაძლოა გადაიქცეს ისეთ მამოძრავებელ ელემენტად, რაც შემდგომში ბიძგს მისცემს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციას და მდგრადობას. სახელმწიფოც ძალას არ იშურებს ამ სექტორის უკეთ განსავითარებლად. რეგიონული განვითარების და სოფლის მხარდაჭერის პროგრამები ცხადჰყოფს, საკითხის პრიორიტეტულობას. გასულ ნომერში ხალების ტერიტორიული ორგანოში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ვწერდით, ახლა კი ხცისის თემში მიმდინარე სიახლეებზე მოგითხრობთ. საკითხის უკეთ გასარკვევად ხცისის თემის მაჟორიტარ დეპუტატს **მამუკა წიქარიშვილს** გავესაუბრეთ:

– ჩემს ზედამხედველობაში სამი სოფელი შედის, ესენია: ხცისი, მიწობი და კრისხევი. სამივე სოფელში ერთად 391 კომლი და 965 ადამიანი ცხოვრობს. რეგიონალური განვითარების პროგრამის და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის ფარგლებში, გასული წლიდან დაიწყო წრომი-ახალშენი-ხცისის წყლის მაგისტრალის დაქსელვა. პროექტის ღირებულება სულ 120000 ლარს მოიცავს და ამ წელში მთლიანად დასრულდება, ასევე, ყველგან დამონტაჟდება საუბნო ონკანები. სოფელ მიწობში დაგეგმილია საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია, ამ პროექტისათვის ბიუჯეტი სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო, საჭიროების შემთხვევაში კი მუნიციპალიტეტიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოჰყოფს თანხებს. ჯერ კიდევ გასულ წელს იყო დაგეგმილი ხცისში მინი საფეხბურთო მოედნის გაკეთება, თუმცა, გარკვეული პრობლემების გამო, ვერ მოხერხდა, წელს კი ეს პროექტიც განხორციელდება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვგეგმავთ,

აღდგომის დღესასწაულისთვის სასაფლაოებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა-მოსწორებას. რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის რეგიონული ეკონომიკის განვითარებას. ძლიერი სოფელი ერთ-ერთი მყარი საყრდენია. ჩვენ კი, ჩვენი ძალებით და ხელისუფლების დახმარებითაც ხელი უნდა შევუწყოთ სოფელს და სოფლის მოსახლეობას.

ბოლო წლებია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები საკუთარი სახსრებითა და სახელმწიფოს დახმარებით ცდილობენ მოაგვარონ სოფლის ეკონომიკურ–სოციალური პრობლემები. სწორედ ამის მაგალითია ხცისში მიმდინარე მშენებლობები.

თ. ახალკაცი

(დასასრული IV გვერდზე)

– სპეციალისტი გვირჩევს –

ცხოველთა დასნებოვნების რისკები რომ ავიცილოთ

დარია, აქვს ცუდი მადა. ჰელმინთები მიგრაციის დროს აზიანებენ ქსოვილებს, ორგანოებს. მატლების მიგრაციის ინტენსივობიდან გამომდინარე, წვრილი და მსხვილი ნაწლავის ლორწოვან ფენაში ირღვევა საჭმლის მონელების ფუნქცია.

დიქტიოკაულოზით ძირითადად ავადდებიან მოზარდი ცხოველები (ხბოები), ამიტომ აუცილებელია დროული მკურნალობა. დაგვიანების შემთხვევაში ხდება მსხვილი ბრონქების, ტრაქეის პარაზიტებით დაცობა, რა დროსაც ცხოველი იღუპება.

დამუშავება, ძირითადად, ხდება გაზაფხულზე (მარტი, აპრილი), ზაფხულში (აგვისტო), შემოდგომაზე (სექტემბერში). უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში ყველა ასაკობრივი ჯგუფის ცხოველი ავადდება უფრო ინტენსიურად. შემოდგომაზე დაავადება მიმდინარეობს ლატენტურად (ფარულად) ამიტომ (ოქტომბერი, დეკემბერი) აუცილებელია ცხოველის დამუშავება.

ცხოველებში მეორე დაავადებაა ფასციოლიოზი, რომელიც უჩნდება მსხვილრქოსან პირუტყვს, ცხვარს და თხას. მისი აღმძვრელებია –Fascioea Hepatica და Fascioea Gigantica. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, მას სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, მაგალითად სამეგრელოში – ფარფალი, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში - ღვიძლის პეპელა. ფასციოლოზი საქონლის პროდუქტიულობას ამცირებს. შეიმჩნევა წონაში კლება, მცირდება წველადობა 15-25%-ით. რძის ხარისხი დაბალია. ფასციოლა უმეტესად აზიანებს ღვიძლის და ნაღველის სადინარებს. არღვევენ ღვიძლში სისხლის ცირკულაციას, მიგრაციის დრო შლიან მას. ასევე იწვევენ ორგანიზმის ინტოქსიკაციას. არღვევენ რიგი ორგანოების და სისტემის მუშაობას. დაავადების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია ცხოველის დამუშავება ანტიჰელმინთური პრეპარატებით.

ფასციოლიოზზე ცხოველების დამუშავება რეკომენდებულია გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

- სოფლის მეურნეობა -

ინტენსიური ბაღი, რომელსაც ერთი ოჯახი უვლის

ყოველდღიურად მიწევს იმ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებიც სოფლის მეურნეობში ჩაერთვნენ, ზოგი კოოპერატივების და ზოგიც ფერმერმერული მეურნეობების სახით. მათი ინტერესი მიწების შეძენა, გაფართოება, ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მაღალი მოსავლის მიღებაა. ბაზარიც შესაბამისი მოთხოვნილებით პასუხობს. ძალიან ბევრი ქალაქად წასული ადამიანი დაუბრუნდა სოფელს, ზოგისთვის პრიორიტეტად, ზოგისთვის კი დამატებით საქმიანობად იქცა სოფლის მეურნეობა. ადამიანები უბრუნდებიან

პირველსაწყისს-მიწას. ჩემი რესპოდენტი საბანკო სექტორშია დასაქმებული, თავისი საქმე აქვს, თუმცა სოფლის მეურნეობაში ჩართვა გადაწყვიტა, შეიძინა მიწები და თავის დამკვიდრებას ცდილობს, ოჯახური ძალებით. ყოველ შაბათ-კვირა თბილისიდან წრომში მოდის და ძალისხმევას არ იშურებს, შედეგის მისაღწევად. ბევრს კითხულობს, ეცნობა სიახლეებს და მთელ ფიზიკურ და გონებრივ რესურსს იმ საქმეში დებს, რომელიც უყვარს და მისიანია.

უჩა კორძაია (ფერმერი, სს ლიბერთი ბანკის საკრედიტო რისკების სასესხო ანალიტიკის და პროცესინგის დეპარტამენტის ანალიტიკოსი):

–სოფელში ვარ გაზრდილი, მიყვარს ეს საქმე. დაახლოებით 8 წლის წინ შევიძინე 1 ჰა მიწის ნაკვეთი წრომში, ვაშლის ძველი ჯიშებით გაშენებული. ვუვლიდით, შემდეგ უკვე ახალი ჯიშებით ჩავანაცვლეთ. ამჟამად, დაახლოებით 1 ჰა-ზე, ვაშლის ბაღი მაქვს, ძველი გაშენებული. ახლა 3 ჰა-ზე ბლის გაშენებას ვაპირებ ნახევრად ძლიერ საძირეზე, რომელიც ინტენსიური ტიპის ბაღი იქნება სარწყავ სისტემაზე, ასევე, 2 ჰა ჟოლოს გაშენებას ვაპირებ რემოტანტული ჯიშის. ნერგებს ადგილობრივ სანერგეში ვყიდულობთ. სოსო ფარეხელაშვილი არის მენერგე, რომლისგანაც ვიყიდეთ ნერგები. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, მიწა მოხნულია, გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა ნიადაგის ანალიზის ჩატარება, განოყიერება და შემოდგომით უკვე მოხდება ნერგების დარგვა. სწრაფად რეალიზებადია ჟოლოც და ბალიც. ბალი, რომელსაც, ჩვენ ვრგავთ, ტრანსპორტირებას კარგად უძლებს, ღირებულებაც მაღალია. იმის პრობლემა, რომ ჟოლო არ გაიყიდება, არ არის. ჟოლოსი და ბლის ინტენსიური ბაღი "დანერგე მომავლის" პროგრამით კეთდება. შიდა ქართლს არ ჰქონდა პროგრამაში მაყვლის ბაღის გაშენება, რომელსაც სავარაუდოდ, მომავალში გავაშენებ. ეს ოჯახური საქმეა, ჩემი ძმა და მამა არიან ჩართული, ვფიქრობ, გაფართოებაზე, მაგრამ ყველაფერი ფინანსებამდე მიდის. ამ ეტაპზე ამის შესაძლებლობა არაა და იმის ათვისებაზე ვართ ორიენტირებულები, რაც გვაქვს დღეს. მიფიქრია კოოპერატივის შექმნაზეც, ამ მხრივ მოსახლეობას ცოტა უჭირს ამაზე წამოსვლა. ისიც ვიცი, რომ სახელმწიფო და სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მხარდაჭერას უცხადებენ კოოპერატივებს, თუმცა, ამ ეტაპზე, მირჩევნია ეს საქმე ოჯახურ საქმედ დავტოვო.

ასეთი მაგალითები სტიმულს იძლევა დავიბრუნოთ, დავუბრუნდეთ და ის ვაკეთოთ, რაც გენეტიკურად მოგვსდევს, რაზეც სიკეთეზე სიკეთით გვპასუხობენ. შრომა ფიზიკური და გონებრივი ერთად აღებული იძლევა შედეგს, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს განაპირობებენ. ქვეყანა კი ჩემი, თქვენი, მათი შვილებია!

თ. ჯავახიშვილი

დეპუტატის ინიციატივა

სულ რამდენიმე წუთია საჭირო ხის მოსაჭრელად, როდესაც დარგვიდან ათეულობით წელია საჭირო, მის გაზრდამდე, ჩანაცვლება მოჭრილი ხის, ახლით იშვიათად ხდება. ყველაფერი სოციალური სასწორით იზომებოდა. თუმცა, ინიციატივა, რომელიც შიდა ქართლის სატყეო დეპარტამენტს ეკუთვნის, სასიხარულო და იმედის მომცემია. ჩვენს წინა ნომერში სურამში დარგული ხეების შესახებ ვიუწყებოდით. ამჯერად კი, ცხრამუხის დამოუკიდებელი მაჟორიტარი, საკრებულოს წევრი, პავლე ლაცაბიძე, სოფლის მოსახლეობასა და ახლგაზრდებთან ერთად, ახალ სიცოცხლეს სძენდა ცხრამუხას. შემოიღობა ცხრამუხის სტადიონისა და ბაღის მიმდებარე ტერიტორია, სადაც წიფლის, მუხისა და ნეკერჩხლის 80 ნერგი დაირგო. ძველი, გაჩეხილი ხეები, ჩანაცვლდა ახლით. მხოლოდ დარგვას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, მთავარი მისი დაცვა და გახარებაა, რომელზე მზრუნველობაც ბატონმა პავლემ იკისრა. იმედია, ამ პროცესს უწყვეტი სახე ექნება და შედეგად მომავალ თაობას მწვანე და ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა ექნებათ.

ზაფხული 10 დღით ადრე იწყება, ვიდრე ნახევარი საუკუნის წინათ

უკანასკნელ წლებში ზამთარი სულ უფრო ადრე უთმობს ადგილს ზაფხულს. მის ყველაზე მკაფიო ნიშანია მცენარეების ნაადრევი ყვავილობა. მაგრამ მეცნიერებისათვის არსებობს ზაფხულის ადრე დადგომის სხვა, უფრო ზუსტი საბუთები. ფრანგ მკვლევართა მიერ

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს პროცესი მართლაც სახეზეა და სულ უფრო წინ მიდის. მათ შეისწავლეს ამინდის შესახებ ცნობების მრავალწლიანი ჩანაწერები. გამოკვლევამ აჩვენა, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ზაფხულის დაწყების თარიღმა დაახლოებით 10 დღით ადრე გადმოიწია. უფრო მეტიც, პროცესი თუ ასე გაგრძელდა, საუკუნის დასასრულისათვის ზაფხული შეიძლება ჩვეულებრივზე 20 დღით ადრე დაიწყოს ხოლმე. კვლევის გასაადვილებლად მეცნიერებმა წელიწადი ორ თანაბარ ნაწილად - ზაფხულად და ზამთრად დაყვეს. ევროპაში ამ მონაცვლეობას ორი მთავარი ფაქტორი განაპირობებს. ერთი მხრივ, ესაა ატლანტიკის ოკეანიდან მომავალი ქარები. მეორე მხრივ კი, ესაა აღმოსავლეთ ევროპიდან მომავალი ტენიანი და ზომიერი ტემპერატურის მქონე ანტიციკლონები, რომლებიც ატლანტიკიდან მომავალ ჰაერის მასებს აღუდგება წინ.

ამის შედეგად ზამთრობით გვაქვს ცივი და ნაკლებად ნალექიანი დღეები, ზაფხულობით კი მშრალი და ცხელი პერიოდები. მეცნიერები ზაფხულის ნახევარწლიანი მონაკვეთის დასაწყისად მიიჩნევენ იმ დროს, როცა აღმოსავლეთიდან მომდინარე კონტინენტური გავლენა აგრილებას აღარ იწვევს და დასავლეთ ევროპაში პირველად დათბება.

ფრანგმა მეცნიერებმა დაამუშავეს 1950-2010 წლების პერიოდის ამინდის შესახებ მონაცემები. ამ ანალიზს დაემატა უკვე არსებული კლიმატური მოდელები და საბოლოოდ დადგინდა ამინ-



დის ცვლილების ტენდენცია შემდგომი ათასწლეულებისათვის.

შესწავლილმა მასალამ აჩვენა, რომ მეტეოროლოგების მიერ დადგენილი ზაფხულის დასაწყისის თარიღი იყო 12 აპრილის სიახლოვეს. მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აღმოსავლეთის თბილი კონტინენტური ანტიციკლონები 1-დან 5-აპრილამდე პერიოდში იწყებოდა, ანუ დაახლოებით 10 დღით ადრე. მის მიზეზად მეცნიერები მიიჩნევენ აღმოსავლეთ ევროპაში თოვლის საფარის ნაადრევ დნობას.

შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, რომ კლიმატის ბუნებრივი მერყეობით ამ მოვლენის ახსნა შეუძლებელია. მკვლევართა აზრით, ზაფხულის სეზონის სულ უფრო და უფრო ადრე დაწყების მიზეზი უნდა იყოს ადამიანი, კერძოდ, ატმოსფეროში CO_2-ის კონცენტრაციის ზრდა.

ნორჩ გამომგონებელს დიდებული მომავალი ელის

არ იქნება გადაჭარბებული,თუკი ვიტყვი,რომ ჩემს წინ მომავალი დიდი გამომგონებელი იჯდა, რომლის ქმნილებები, ვფიქრობ, ისეთივე უნიკალური, შეუცვლელი და გასაოცარი იქნება,როგორც მისი დიადი წინამორბედებისა. რეზო კაპანაძე ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წაღვლში ცხოვრობს. ჯერ მხოლოდ მერვე კლასის მოსწავლეა და მისი გამოგონებები საყოველთაო ყურადღების ცენტრში უკვე მოექცა. ის საოცარი ენთუზიაზმით საუბრობს საკუთარ იდეებზე, სამომავლო გეგმებზე – პატარა ინტელექტუალი, რომლის დაპყრობილი მწვერვალების მომსწრეები იმედია, სულ მალე გავხდებით.

რეზო კაპანაძე: უკვე საკმაო გამოცდილება მაქვს გამომგონებელთა კონკურსში მონაწილეობისა. პირველად მამა დამეხმარა რეგისტრაციის გავლაში და ახლაც მეხმარება გამოგონებების სრულყოფაში. სულ პირველი იყო არყის სახდელის შექმნა, რომელიც წყლის გამოცვლას არ საჭიროებს, დავამონტაჟე რადიატორი, რომლის საშუალებითაც წყალი გრილდება. მომდევნო ჩემი გამოგონება იყო ძელზე ჩამოკიდებული ტვირთი, რომლის აწევის შემთხვევაში გამომუშავდებოდა ელექტროენერგია, ამ გამოგონებით მეცხრე საერთაშორისო ოლომპიადაზე დავიკავე მეორე ადგილი. შემდეგი იყო „უცნაური აბონენტი", რომლის საშუალებითაც ირწყვებოდა ბაღი, ღამე იკეტებოდა საქათმე და ა.შ. „ლეონარდო და ვინჩის" კონკურსზე გავხდი კონკურსის ფავორიტი და გადმომეცა წამახალისებელი პრიზი მობილური ტელეფონი „მძინარე პოლიციელის" გამოგონებისათვის. ამჟამად ვმუშაობ ახალ გამოგონებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მილების მწყობრში ყოფნას ძლიერი ყინვების დროს.

რეზოს უამრავი სერთიფიკატი და ზღვა გამოცდილება დაუგროვდა ბოლო წლებში. მუშაობას თავდაუზოგავად აგრძელებს და ირწმუნება, რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევს. ოცნებობს პერპეტუმობილის შექმნაზე. ერთ-ერთი უმთავრესი რამ რაც მას სჭირდება ეს მხარდაჭერა და თანადგომაა ჩვენი მხრიდან

მინდა აღვნიშნო მსგავსი კონკურსების და გამოფენების როლი ჩვენი ახალგაზრდებისათვის. ამგვარი პროექტების მიზანია ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდების ინტერესის გაღვივება, გამომგონებლობის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მოსწავლეების შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

გამოგონებების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეპოქაში, როდესაც ადამიანის შესაძლებლობების გონების ზღვარს სცდება და შესაძლებლობები, რომელიც დღითიდღე უფრო გვაოცებს და გვხიბლავს. ზოგჯერ, ჭირს კიდეც ჩვენმა ცნობიერმა გაიაზროს რამხელა განვითარების დონეს მიაღწია კაცობრიობამ ცხოვრების ყველა სფეროში,რამხელა სიღრმეებს ჩასწვდა და რა თქმა უნდა ეს პროცესი უსასრულოდ გრძელდება,ჩვენ ხომ ყოველთვის „გვინდოდა ახალი გზები,გვინდოდა ახალი რამე."

ჩვენ თვალს მივადევნებთ რეზოს საქმიანობას და ვეცდებით მისი ყველა ახალი მიგნება, ფართო აუდიტორიას გავაცნოთ. მანამდე კი წარმატებებს ვუსურვებთ პატარა ერუდიტს.

თ. ახალკაცი

წარმატება ზესტაფონში

ამ დღეებში, ზესტაფონმა ქართულ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის საქართველოს პირველობას უმასპინძლა. პირველობისთვის ბრძოლაში 1999-2000 წლებში დაბადებული 200-ზე მეტი სპორტსმენი ჩაერთო. ჩემპიონობისთვის ჩვენი სასპორტო სკოლის სპორტსმენებიც იბრძოდნენ. მათ შორის ვერცხლის მედალი გიორგი მახარაშვილს ერგო (მწვრთნელი ბადრი მახარაშვილი). მესამე საპრიზო ადგილზე კი გიორგი ბედოშვილი (მწვრთნელი ბუხუტი ბუხრიკიძე) და მიხეილ ნოზაძე გავიდნენ (მწვრთნელი მალხაზ ნოზაძე).

სურათზე (მარცხნიდან): გ. მახარაშვილი, მწვრთნელი ბ. ბუხრიკიძე და გ. ბედოშვილი.

ბრინჯაო საფრანგეთიდან

საგრანგეთში, ქალაქ ტულუზაში, დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა სამბოში. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, სხვებთან ერთად, ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილი გიორგი მეტრეველიც იმყოფებოდა. გიორგი,ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, თავის ასაკში საკმაოდ ტიტულოვანი სპორტსმენია და თავი არც ტულუზაში შეურცხვენია. მართალია მას ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალიც, უდავოდ, დიდი წარმატებაა.

ვულოცავთ გიორგის და მის მწვრთნელებს ამ გამარჯვებას!

„პატრიარქები" - სკოლის სცენაზე

სულ ცოტა ხნის წინ,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა სსიპ. მე-9 საჯარო სკოლას. ინიციატივა სკოლის თვითმმართველობისგან წამოვიდა, რასაც დირექციამ და შემდგომ საკრებულომ დაუჭირეს მხარი. ამ ღირშესანიშნავ მოვლენასა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 99 წლისთავს მიეძღვნა ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება „პატრიარქები". სკოლის დირექტორმა მამუკა ხაჩიძემ,პირველ რიგში,მადლობა გადაუხადა ხაშურის საკრებულოსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს იდეის ხორცშესხმაში მხარდაჭერისათვის და მიულოცა დამსწრეთ სკოლისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭება. საკრებულოს თავმჯდომარემ,ვაჟა შუბითიძემ,ხაზი გაუსვა სკოლისათვის ესოდენ საპატიო სახელწოდების მნიშვნელობას და უსურვა სკოლის მოსწავლეებს საქართველოს პატრიარქთა ზნეობრივ მაგალითებზე გაზრდა.

ღონისძიებაზე სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა ბიოგრაფიები, რასაც პერიოდულად ენაცვლებოდა მოსწავლეთა მიერ შესრულებული ქართული პოლიფონიური საგალობლები. აღსანიშნავია, რომ საღამოს ესწრებოდნენ სკოლის ყოფილი დირექტორები, პედაგოგები და სასულიერო პირები.

ზუგდიდიდან გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ

ამ დღეებში ზუგდიდმა ძიუდოში „კოლხეთის თასის" ტურნირს უმასპინძლა. ტურნირში ჩვენი მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ნორჩი სპორტსმენებიც იღებდნენ მონაწილეობას და კარგი გამოსვლით თავიც ისახელეს. მწვრთნელების: ომარ ლომიძის, ბეგლარ ხარშილაძის, ბადრი მეხრიშვილის, ბუხუტი ბუხრიკიძის და მალხაზ ნოზაძის შეგირდებმა სანაქებოდ იასპარეზეს. ზუგდიდიდან ჩემპიონები დაგვიბრუნდნენ როინ გელაშვილი და პაატა ტაბატაძე. ვერცხლის მედალი ნიკა გოგალაძემ დაისაკუთრა, მესამე ადგილოსნები კი გიორგი

მეხრიშვილი, გიორგი ბედოიშვილი, ნოდარ ბუხრიკიძე,გიორგი ნასყიდაშვილი,გიორგი ნოზაძე და გიორგი გელაშვილი გახდნენ.

ლეგენდა, რომელსაც მუდამ აქვს გაგრძელება

12 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბიბლიოთეკას მეშვიდე საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ და ქაღალდისგან წეროების დამზადებას სწავლობდნენ. ღონისძიება იაპონურ ლეგენდას მიეძღვნა, რომლის მიხედვითაც, თუ ადამიანი 1000 წეროს გააკეთებს, წარმატებას და ბედნიერებას მოიპოვებს.

სწორედ ეს ლეგენდა მოისმინა ჰიროსიმაში 1945 წელს მომხდარ კატასტროფის დროს რადიაციულად დასხივებულმა და ლეიკემიით დაავადებულმა გოგონამ სასაკო სადაკიმ და გამოჯანმრთელების იმედით წეროების კეთება დაიწყო, თუმცა, მხოლოდ, 644 წეროს გაკეთება მოასწრო და 11 წლის ასაკში გარდაიცვალა. გოგონა ჰიროსიმაში, მშვიდობის სკვერში დაკრძალეს. სასაკო სადაკი მშვიდობის სიმბოლოდ იქცა და მისმა „წეროებმა" მალევე გადაკვეთეს საზღვრები. ამჯერად კი ჩვენს ბიბლიოთეკაში შემოიჭრნენ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

ამ ადგილას!

ამ ადგილას!

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.